შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/13

თბილისი **16 აპრილი 2021 წ.**

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6. პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის, ასევე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ დებულების მე-8 მუხლის, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კონცეფციის მე-12 მუხლისა და რექტორის 2019 წლის 23 დეკემბრის N01-01/103 ბრძანების შესაბამისად უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსებეის პროგრამების (კურსი, მოდული) დამტკიცების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ დებულების მე-8 მუხლისა და უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კონცეფციის მე-12 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი შემდეგი მოსამზადებელი კურსები:
   1) მოსამზადებელი კურსი - **„ქართული ენა და ლიტერატურა“,** კურსის ხანგრძლივობა 40 სთ. **მენტორი** - გთუნის ასოცირებული პროფესორი ლია ჯანგებაშვილი; (დანართი 1)
   2) მოსამზადებელი კურსი - **„ინგლისური ენა“,** კურსის ხანგრძლივობა 40 სთ. **მენტორი** - ფილოლოგიის დოქტორი, თამარ მერაბიშვილი; (დანართი 2)
   3) მოსამზადებელი კურსი - **„ისტორია“,** კურსის ხანგრძლივობა 40 სთ. **მენტორი** - თორნიკე დიასამიძე; (დანართი 3)

II. მენტორთა მიერ თვის განმავლობაში ჩატარებული საათების რაოდენობის შესახებ მოხსენების წარმოდგენა დაევალოს რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის აპარატის უფროსს - სოფიკო თევდორაძეს.

III. დაევალოს კანცელარიას წინამდებარე ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის.

IV. დამტკიცებული მოსამზადებელი კურსების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.

V. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დანართი: უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს წარდგინება 10 (ათი) გვერდად.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი